გურიაში 9 აპრილის გმირებს პატივი მიაგეს!

„დღეს არის ძალიან მძიმე დღე ჩვენი ქვეყნისთვის, რეგიონისთვის. 29 წელი გავიდა 1989 წლის 9 აპრილიდან. იმ 21 გმირს შორის, რომლებმაც ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის თავი გაწირეს, ოზურგეთელი ნინო თოიძე და ჩოხატაურელი ნატო გიორგაძე იყვნენ. მე, ქედს ვიხრი მათი ოჯახისა და ხსოვნის წინაშე“- განაცხადა გურიის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ.

მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და ჩოხატაურის საკრებულოს წევრებმა, გურიაში, 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპული ნინო თოიძისა და ნატო გიორგაძის საფლავები ყვავილებით შეამკეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. ყვავილებით შეამკეს ასევე, 9 აპრილის მემორიალი ჩოხატაურში.

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ აღნიშნა, უახლოესი ისტორიის ერთ - ერთი ყველაზე ტრაგიკული დღე - 9 აპრილი, თითოეული ქართველისთვის იქცა თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლოდ. ოზურგეთი დღეს, განსაკუთრებული მოწიწებით იხსენებს ლიხაურელ ნინო თოიძეს. სწორედ ეს თავდადება გახლავთ მაგალითი პატრიოტიზმის და მათი ხსოვნა არის მარადიული.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭავა - „ 9 აპრილმა ორად გაყო საქართველოს ისტორია, 9 აპრილამდე და მის შემდეგ. სწორედ ამ ადამიანების დაღვრილმა სისხლმა განაპირობა დღევანდელი დამოუკიდებლობა. კიდევ ერთხელ ვუცხადებ სამძიმარს გარდაცვლილთა ოჯახებს.

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა თბილისში, რუსთაველის გამზირზე მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. ტრაგედიიდან ზუსტად 2 წლის შემდეგ 1991 წლის 9 აპრილს მაშინდელმა უზენაესმა საბჭომ, ეს თარიღი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა.

კომპანია NOVA-ს ოზურგეთული ბრენდი მაღაზია „ლიზი-2“ გთავაზობთ:

– ხის პანელებს კედლისა და ჭერისათვის;
– სხვადასხვა სახისა და ზომის სახურავებს;
– ეკოლოგიურად უვნებელ საღებავებსა და წებოებს;
– სანტექნიკისათვის გათვალისწინებულ ყველა სახის მაღალხარისხოვან მასალას;
– ელექტროტექნიკასა და მოწყობილობებს, საცხოვრებელი ბინებისა თუ ოფისების ელექტრეფიცირებისათვის საჭირო მასალებსა და სხვა.

ფასები – ხელსაყრელი, მომსახურება – უნივერსალური.
მაღაზია „ლიზი-2“ – თქვენი საიმედო პარტნიორი!!!
ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქ. №10

რ

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 15 (10260) 16 აპრილი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

დაბა ნარუჯაში სტიქიისგან დაზიანებული სახლის გადახურვა მიმდინარეობს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯაში 2 აპრილის სტიქიის შედეგად დაზიანებული ორსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის გადახურვა მიმდინარეობს.

სამუშაო პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე გაეცნო.

გამოიცვალა ხეობა და შენობა ახალი, მაღალი ხარისხის თუნუქის სახურავით იხურება.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების, სტიქიის სალიკვიდაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, საჭირო თანხა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო.

ბუნდოვანად წარმოდგენილი პროექტი და კითხვა – რა ვერ გაიგეს ჟურნალისტებმა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთის შესახებ,“ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

საკითხი დეპუტატებთან განსახილველად მუნიციპალიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ლაშა თავაძემ წარმოადგინა. საკითხი იმდენად სწრაფად განიხილეს, დეპუტატებმა კითხვების დასმა და აზრის დაფიქსირება ვერ მოასწრეს. პროექტზე დასმულ განმარტებით ბარათში კი არ იყო მითითებული, რომ აღნიშნული პროექტი არ ეხებოდა 2004 წელს ხელისუფლების მიერ იმ მოქალაქეების გადასახადებიდან გათავისუფლების საკითხს, რომლებმაც პრივატიზებისას 5 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი მიიღეს. აღნიშნული პროექტის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთებია:

სახნავი (მათ შორის მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე,) და საკარმიდამო 1 ჰექტარი-73 ლარი; სათიბი –20 ლარი; საძოვარი –16 ლარი;

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების 1 კვ. მეტრზე წლიური გადასახადი განაკვეთებია: ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე 1კვ. მ. -0,288 ლარი; დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში -0, 312 ლარი; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში 0,216 ლარი.

ქონების გადასახადიდან თავისუფლდება:

ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვადრატულ მეტრს:

ბ) ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვადრატულ მეტრს.

აღნიშნული პროექტის ამ სახით, ყოველგვარი განმარტებების გარეშე წარმოდგენამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია როგორც დეპუტატებს შორის, ისე სოციალურ ქსელში გაზეთ „ალიონის“ ვებგვერდის **alion.ge** მკითხველებისაგან. საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, რედაქცია ამ თემას კვლავ დაუბრუნდა.

ნანული ორაგველიძე, საკრებულოს დეპუტატი, „პატრიოტთა ალიანსიდან“: – თუკი ასეა, როგორც პროექტი წარმოადგინეს, ეს არასწორად მიმაჩნია, ბუნებრივია, არ ვეთანხმები. 2004 წლის 1 აგვისტოდან ფიზიკური პირის მფლობელობაში არსებული 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი გათავისუფლებულია მიწის გადასახადისაგან. ცვლილებები არსად არ გაუღერებულა. ოზურგეთის სოფლების მოსახლეობას კიდევ ეს სჭირდება? ისედაც როგორ უჭირთ. ეს საკითხი ისე სწრაფად გავიარეთ, აზრის დაფიქსირება ვერც კი მოვახერხე საკრებულოს სხდომაზე. მაგრამ ახლა მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოება იწყება. დადგენილების მიღებამდე კიდევ ათი სამუშაო დღეა. ვფიქრობ ეს ასე არ დამტკიცდება. მისი ამ სახით მიღება მოსახლეობის პროტესტსაც გამოიწვევს, ბუნებრივია;

მიხეილ გოგოტიშვილი, საკრებულოს დეპუტატი „ევროპული საქართველოდან“:–გლეხს გადასახადი კი არა, ხელის შეწყობა სჭირდება. საკრებულოს სხდომას, სადაც ეს პროექტი განიხილეს, არ ვესწრებოდი, ამიტომ მომდევნო სხდომის წინ წარმოდგენილ საკითხს გავეცნობი და ჩემს პოზიციას დავაფიქსირებ;

ბესო ქათამაძე, დაბა ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატი: –ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მიწის გადასახადების შემოღების შესახებ საკითხი სახელმწიფოს შემოაქვს ეტაპობრივად. ამ საკითხზე უკვე იმსჯელეს გორში, ბორჯომში... 2004 წელს წინა ხელისუფლებამ 5 ჰექტრამდე მიწის მფლობელი ფიზიკური პირები გაათავისუფლა გადასახადიდან. ახლა კი გლეხებისთვის დახმარების ნაცვლად, მიწის გადასახადის დაკისრება სრული კატასტროფა იქნება, მით უმეტეს საქართველოში სოციალური ფონი ყველაზე მძიმე გურიის რეგიონშია.

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჰშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 9 აპრილს დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ, ვიცე-მერმა ალექსანდრე სურგულაძემ, მერის მოადგილეებმა: ირაკლი სირაძემ, ოსიკო თოთიბაძემ და ა.(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელმა, თამარ ნადირიძემ 9 აპრილის ღამეს ტრაგიკულად გარდაცვლილი ლიხაურელი ნინო თოიძის საფლავი გვირგვინით შეამკეს.

–„9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და ამავდროულად, უდიდესი ტრაგედიის დღეა, რომელსაც თავისი გმირები ჰყავს. 29 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობას ათობით მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა. ჩვენი ვალია, ყოველთვის გვახსოვდეს ადამიანები, ვინც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისთვის გასწირა თავი, “- განაცხადა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ.

იმავე დღესვე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი და ეროვნული გმირის, ზაზა დამენიას საფლავი.

მე-20 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა

2018 წლის 12-14 აპრილს გამოფენების ცენტრმა „ექსპო ჯორჯიამ" მე-20 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას - **Caucasus Tourism Fair** -ს უმასპინძლა.

გამოფენის მიზანი იყო დარგში მიმდინარე პროექტების და ახალი ტურისტული პროდუქტების პრეზეტაცია-პოპულარიზაცია, ასევე ადგილობრივი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა და საქართველოს რეგიონების, ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, რისთვისაც ყოველწლიურად ეწყობა რეგიონული სტენდები ფოტოსურათებითა და ვიდეო მასალებით.

გამოფენა ტურიზმის ადმინისტრაციის, კულტურის სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერით ჩატარდა.

გამოფენას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე დაესწრო. ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან კი ტურიზმის განვითარების სამსახურის განყოფილების უფროსი, ირინა შალამბერიძე და ა.(ა)ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი, მათე სკამკოჩაიშვილი იმყოფებოდნენ, რომლებმაც „გურული ჩაი“, „ანასეული ოტკა“, ღვინო, თაფლი და სხვადასხვა ნატურალური პროდუქტი, ასევე ტურისტული კერების ამსახველი ფოტომასალა წარადგინეს.

ოზურგეთში ბავშვთა გასართობი ცენტრი „ჭიამაია“ გაიხსნა

ქ. ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2-ში ბავშვთა გასართობი ცენტრი „ჭიამაია“ გაიხსნა.

გახსნის ცემემონიალზე ოზურგეთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა მამა ვასილმა (კვირჩილაძე) ისაუბრა ამ ცენტრის დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე.

„ჭიამაიას“ სპონსორობა გაუწიეს ღვინის კომპანია „შილდამ,“ ყველის 40 სახეობის მწარმოებელმა „თელეთის სენემ და კომპანია „სანდომმა.“

სამუშაო შეხვედრა გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ, გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის „სოფლის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში“ - ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრა გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ გუბერნატორის მოადგილეები და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები.

შეხვედრის მიზანს სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული რეგიონის მნიშვნელოვანი საჭიროებების, პრიორიტეტებისა და გამოწვევების დოკუმენტში ასახვა წარმოადგენდა. განხილულ იქნა რეგიონში სოფლის განვითარების მიმართულებით მომზადებული **SWOT** ანალიზი, რეგიონის პრიორიტეტების გამოვლენა - შეფასება; ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა სოფლად; სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე; გარემო და ბუნებრივი რესურსები სოფლად.

ოზურგეთში ქვეითთა გადასასვლელების მოხაზვა მიმდინარეობს

ოზურგეთში, გამსახურდიას მოედანზე მოქალაქეების უსაფრთხო გადაადგილების მიზნით ქვეითთა გადასასვლელები მოიხაზა. სამუშაო პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ოსიკო თოთიბაძე და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი, თემურ გიორგაძე გაეცნენ.

ე.წ. "ზებრა" გადასასვლელები ქალაქის მთელ ტერიტორიაზე მოიხაზება.

ოზურგეთის სოფელ ბახვში საცხოვებელი სახლი დაიწვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვში საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაიწვა. ხანძარს მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ოჯახის წევრების ვარაუდით, ხანძრის გამომწვევი მიზეზი ძველი ელექტროგაყვანილობა გახდა.

ადგილზე იმყოფებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძემ განაცხადა, დაზარალებულებს მუნიციპალიტეტი სამშენებლო მასალით გაუწევს დახმარებას.

ბუნდოვანად წარმოდგენილი პროექტი და კითხვა – რა ვერ გაიგეს ჟურნალისტებმა

იმის მაგივრად, რომ გლეხებს ყანის დასახნავ-დათესად, მინერალური სასუქების შესაძენად ვაუჩერებით ვეხმარებოდეთ, გადასახადი უნდა დავუწესოთ და მიზერული საპენსიო თანხა ამ მიზნით დახარჯოს? კი ბატონო, იყოს გადასახადი 2-3-ჯერ მეტი იმ პირებისთვის ვისაც 10, 20, 30 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აქვს შეძენილი და არ ამუშავებს.

დაბა ნასაკირალში ადგილობრივ მოსახლეობას 3400- 3400 კვადრატული მეტრი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები აქვთ პრივატიზებისას გადაცემული. ამ ადამიანებს სხვებთან ერთად დახმარების ნაცვლად გადასახადებს ვთავაზობთ?

ლევან მგელაძე, ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისთვის“ თავმჯდომარე: –ჩვენ აღნიშნულ თემაზე ფრაქციის სხდომაზე ვიმსჯელეთ და სავარაუდოდ მხარს დავუჭერთ. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად საკითხი შესაბამისი განმარტებების გარეშე შემოვიდა სხდომაზე. აუცილებელია გადასახადის შემოღება დარეგისტრირდეს, თუ რაიმე არ იქნება კანონთან შესაბამისობაში, გასწორდება.

ლევან ხინთიბიძე, „საქართველოს დემოკრატიული კავშირის“ აღმასრულებელი დირექტორი:–საკრებულოში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება არ ზღუდავს საქართველოს საგადასახადო კოდექს, სადაც გათავალისწინებულია საგადასახადო შეღავათები. ამ შეღავათით 2004 წლის 1 აგვისტოდან მიწის გადასახადის გადახდიდან თავისუფლდებიან ის ფიზიკური პირები, რომლებმაც მიწის რეფორმის შედეგად 5 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწები მიიღეს.

* * *

12 აპრილს, ფრაქციამ „ქართული ოცნება“ აღნიშნული დადგენილების პროექტზე იმსჯელა და შემდეგი განმარტება გააკეთა:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ „საქართველოს საგადასახადო კოდექსით და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონით განისაზღვრება. კანონის თანახმად, საკრებულომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს ნორმატიულ აქტების კანონებთან შესაბამისობა. " - განაცხადა საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნების" სხდომაზე, ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გელა ჩავლეშვილმა. სწორედ ეს პროცესი დაიწყო საკრებულომ და ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების" სხდომაზე აღინიშნა ნორმატიული აქტის პროექტის მიხედვით, გადასახადის გადამხდელთათვის არ იზრდება დღეს მოქმედი გადასახადის არც სახეობა და არც რაოდენობა. ორი მუნიციპალიტეტის გაერთიანების შედეგად, ორი მოქმედი დადგენილების ნაცვლად საკრებულო ერთი ნორმატიულ აქტის დამტკიცებას უყრის კენჭს.“

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ხომ შეიძლებოდა საკრებულოს სხდომაზე ელემენტარული განმარტება გაკეთებულიყო. ვერანაირი თავის მართლებაა ის, რომ ხელი ჟურნალისტებისკენ გაიშვიროთ:-ვერ გაერკვენო. ჩვენ არ გვრცხვენია იმის, რაშიც ვერ გავერკვევით, კონსულტაცია კვალიფიციურ იურისტებთან გავიაროთ, ან არასამთავარობო სექტორს ვკითხოთ რჩევა. სასურველია ეს რჩევა სხვებმაც გაიზიარონ.

ცოცხალი-live № 15

ბრწყინვალედ გატარებული 9 ათეული წელი - ჩვენი გაბილა

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობს, სახალხო არტისტს, ვარსკვლავოსანს გაბრიელ მდინარაძეს 90 წელი შეუსრულდა



- ბატონო გაბრიელ, გილოცავთ საიუბილეო, 90 წლისთავს. 90-ე იუბილე განსაკუთებულ ვითარებაში აღნიშნეთ, თუ შეიძლება ამის შესახებ გვიამბეთ.

- 27 მარტს, ჩემს დაბადების დღეს, ემთხვევა თეატრის საერთაშორისო დღე. საქართველოს კულტურის სამინისტრომ, მინისტრმა ბატონმა მიხეილ გიორგაძემ, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, ბატონმა გიორგი გეგეჭკორმა, ჩვენი თეატრის სამხატვრო ხელმღვანელმა ბატონმა ვასო ჩიგოგიძემ განსაკუთრებულად აღმინიშნეს ეს დღე. ამ შეხვედრამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა, ალბათ სხვა დროს ასეთი შეხვედრა, ასეთი აღიარება მე არ მიმიღია. კულტურის მინისტრმა ბატონმა მიხეილ გიორგაძემ ძალიან თბილად ისაუბრა და გადმოცა უმაღლესი ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“.

- იმ დღეს მეორე მნიშვნელოვანი ჯილდოც მიიღეთ...

- უშანგი ჩხეიძის სახელობის პრიზი, მთელი ღონისძიება ფაქტობრივად მომიძღვნეს მე და ოზურგეთის თეატრს. ერთად აღინიშნებოდა თეატრის მსოფლიო დღე და ჩემი 90 წლის იუბილე. ღონისძიების ბოლოს ვითამაშეთ სპექტაკლი „საბრალდებო დასკვნა“, მისი პირველი მოქმედება სომხეთის თეატრმა ითამაშა ქართულ ენაზე, ხოლო მეორე მოქმედება სხვადასხვა თეატრის მსახიობებმა. მე ტიგრან გულოიანი განვასახიერე, ეს პერსონაჟი დაახლოებით 45 წლის წინ ვითამაშე ოზურგეთის თეატრში.

- ბატონო გაბრიელ თეატრთან თქვენი ბავშვობიდან ხართ დაკავშირებული?

– ჩემს სოფელში, ვაკიჯვარში არასრული სკოლა იყო, საშუალო სკოლა ბახვში დავამთავრე. ყოველდღე სამ კილომეტრს გავდიოდი ფეხით იქეთ-აქეთ. სკოლაში იდგმებოდა სპექტაკლები და მე შეყვარებული ვიყავი თეატრზე. თუმცა, მშობლების სურვილის გავლენით, პირველად სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავბარე, ორი კურსი გავლილი მაქვს, მერე არავისთვის მითქვამს ისე გამოვიტანე საბუთები და ჩავბარე თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე. მერე მამაჩემს ძალიან მოსწონდა, როცა ჩემზე იწერებოდა პრესაში, დამსახურებული არტისტის წოდება 40 წლის ასაკში მივიღე... მამა აგრონომი იყო და უნდოდა მეც აგრონომი გამოვსულიყავი. მან და დედამ ორი წლის შემდეგ გაიგეს, რომ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი.

1950-54 წლებში გრძელდებოდა ჩემი სტუდენტობა, მაშინ ზენიტში იყო ქართული ხელოვნება, კინო. მყავდა საუკეთესო პედაგოგები. დავუბრუნდი ოზურგეთს. მე და ოთარ მეღვინეთუხუცესი, ლია ელიავა კურსელები ვიყავით. ჩვენთან სწავლობდა ირაკლი უჩანეიშვილი, მალხაზ მებუშვილი. გარდავცლილია ბევრი, დავრჩით მე და ნოდარ მგალობლიშვილი. ლეო ანთაძე ჩემზე ორი წლით უკან სწავლობდა. დავამთავრეთ და ოთარი უნდა წამოსულიყო ჩემთან ერთად ოზურგეთში, მაგრამ ვინ გამოუშვებდა მასზე დიდი მოთხოვნა იყო. ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით. ძალიან მოსწონდა ჩემი სოფელი, მეუბნებოდა აქ პოეტი უნდა გამხდარიყავიო.. მეც ვფიქრობდი, რომ რამდენიმე წლით ვბრუნდებოდი და ასე ვიმუშავე ოზურგეთის თეატრში ექვსი ათეული წელი. 25 წლისამ დავამთავრე ინსტიტუტი და მას მერე აქ ვარ, ახლა შტატში არ ვარ, მაგრამ როცა საჭირო ვარ, გამომიძახებენ.

- გიზო ჟორდანიასეულ „ბოშებში“ (ნ. დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით) ლამის მთელმა საქართველომ გიხილათ ოზურგეთის თეატრის და საგასტროლო სცენებზე. სამომავლოდაც იგეგმება რაღაცეები... თეატრში ორასამდე სახე გაქვთ შესრულებული. ზოგიერთი, ალბათ, უფრო გიყვართ.

- რათქმაუნდა. – მაგიდიდან ძველ ფოტოს არჩევს – კარგად მახსენდება სტუდენტობისას ჩეხოვის პიესაში „დიდ გზაზე“ ტრაქტირის მეპატრონის როლი, თენგიზ მაღალაშვილითან, ედიშერ მაღალაშვილის ძმასთან ერთად ვარ ამ ფოტოზე სპექტაკლიდან. ხან არ მომწონდა როლი, მაგრამ ისიც მითამაშია. საჭირო იყო. დუმბაძის თოთქმის ყველა პიესაში ნათამაშევი მაქვს, ტიგრანა, კოწია ფოსტალიონი, ილიკო... მოსკოვის მცირე თეატრთან თანამშრომლობით შექმნილ სპექტაკლში „უდანაშაულო დამნაშავენი“ რეჟისორი სალიუკი არის, -შმაგა შევასრულე, მანამდე ამ სპექტაკლში ნეზნამოვს ვთამაშობდი და ერთ-ერთი საყვარელი როლი იყო ჩემთვის... ნემიროვიჩ-დანჩეკოს შვილსაც შევხვდი ამ პერიოდში. ბევრი როლი მიყვარს...

- მსახიობის ცხოვრებაში რეჟისორის როლი მნიშვნელოვანია თუ ნებისმიერი სპექტაკლი აძლევს საკმარისს ასპარეზს?

- რეჟისორის როლი ძალიან მნიშვნელოვანია, მით უფრო დღევანდელ თეატრში. ადრე წინააღმდეგი ვიყავი რეჟისურაზე დიდი აქცენტების კეთების, დღევანდელი თეატრი კი ამის გარეშე შეუძლებელია. ძირითადად, თეატრი არის მსახიობი, პიესა და მაყურებელი. ამ სამი კომპონენტის გარეშე შეუძლებელია, ერთერთის გამოკლების შემთხვევაში თეატრი აღარაა.

-მაყურებლის ნაკლებობის პრობლემა დგას ოზურგეთში? ადრე როგორ იყო?

-ადრე ძალიან კარგად იყო. ეკონომიკურად არ გვიჭირდა, იყო ყველაფერი და მაყურებელიც იყო. ყველა სოფელში შესანიშნავი კლუბი იყო და გასვლითი სპექტაკლები გვქონდა, შესანიშნავად გვხდებოდა სოფელი, ბანკეტებსაც გვიმართავდა. დღეს ძალიან სიდუხჭირეა, დასიც განახევრებულია, ადრე ასი მსახიობი ვიყავით ახლა –ორმოცდაათი.

– როგორ იქმნება სახე, როლი?

– როგორც კი მივიღებ როლს, იმ წუთიდანვე იწყება მასზე ფიქრი. პირველ რიგში წარმოვიდგენდი ფიზიკურად როგორ გამოიყურებოდა, როგორი მანერები, მეტყველება ჰქონდა. პიესას რამდენჯერმე ვკითხულობ. ეს გმირი დამყვება ყველგან, სტუმრადაც, სათევზაოდაც და თანდათან იბადება, ტექსტსაც ვიმეორებ. ვიღაცამ რომ დაგინახოს როცა თავი მარტო გგონია და შენს გმირს ძერწავ, გიჟი ეგონები.

- ბატონო გაბრიელ, თქვენ სამი ძმა ხართ და აქედან თქვენ და აკაკიმ ხელოვნება აირჩიეთ. იგი სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული მხატვარია. ეტყობა ხელოვნება თქვენი გენეტიკაა და ალბათ ლექსებსაც წერთ?

– ერთი ძმა, ლევანი, რომელმაც სამედიცინო დაამთავრა, ქირურგი იყო, შემდეგ წაიყვანეს არმიაში და სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი გახდა. ლექსებს ვწერდი, ზოგი დამეკარგა, ზოგი, უფრო ღირებულად რომ მიჩანევ, ზეპირად მახსოვს. ქართველი პოეტების ბევრი ლექსი ვიცი, ვაჟა მიყვარს ძალიან.

– რას ურჩევდით თქვენს ნორჩ კოლეგებს? რა არის მთავარი?

– მთავარია ნიჭი, შრომა და ალღო, ყნოსვა, ყოველდღიური დაკვირვება ადამიანებზე, ყველაფერზე, მაგრამ შრომა უმთავრესია. ძალიან შრომატევადი სამუშაოა მსახიობის საქმე.

– თქვენი ქალიშვილი, თამარი, ოზურგეთის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია... როგორ აფასებთ მის საქმიანობას?

– ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. თამამად ვამბობ, რომ ძალიან ნიჭიერია და ჩემზე უკეთესიცაა.

თამარ მდინარაძე: – საუბარს გუშინდელი დღის შთაბეჭდილებებით დავიწყებ. ეს იყო უბედნიერესი დღე მამაჩემისა და ჩემს ცხოვრებაში. ამდენი სითბო, პატივისცემა კარგახანია არ მიგვრძნია. იმდენი სიყვარული დააფრქვიეს მამას, რომ გაოცებულიც კი დავრჩი. მადლობელი ვარ თითოეული ადამიანის, ვინაც შექმნა ეს დღე. მადლობა ყველა ადამიანს, დაწყებული მინისტრიდან, იმ ადამიანების ჩათვლით, ვინც სპექტაკლის შემდეგ ამოვიდნენ ეფერებოდნენ მამას. მადლობა ბატონ მიხეილ გიორგაძეს, ბატონ გიორგი გეგეჭკორს, თბილისის სომხურ თეატრს, ბატონ ვანო იანტბელიძეს. მათ შექმნეს სიკეთის, სიყვარულის ზეიმი. უღრმესი მადლობა ჩემს თეატრს, ბატონ ვასო ჩიგოგიძეს, ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს...

ბატონი გაბრიელი: – ბატონი ვასოს ლომის წილია ამ დღის ორგანიზებაში, მასაც ბავშვივით უხაროდა.

თამარი: – დაჯილდოვებისას მთელი დარბაზი ფეხზე იდგა, კულისებში ბედნიერებისაგან ვტიროდი, შევნიშნე ვასოსაც ცრემლები ჰქონდა თვალზე. ძალიან ამაღელვებელი და არაჩვეულებრივი საღამო იყო, მადლობა ყველას.

– თამარ, ადვილია გამორჩეული მამის კვალში სიარული?

– თავიდან აღფრთოვანებით არ შეხვდა ჩემს არჩევანს. გამაფრთხილა, რთული პროფესიაააო და კარგად დაფიქრდიო. მამა ყოველთვის იყო და არის ჩემთვის მაგალითი. ჩემი პირველი შემფასებელია. ვიცი არ მომატყუებს და სიმართლეს მომახლის. მკაცრიც არის ამ დროს. ბედნიერი და ამაყი ვარ მისით. მხოლოდ მამა არ არის, ერთად გამოვიარეთ რთული წლები, მეგობრები ვართ და ბედნიერი ვარ ამით.

ბატონი გაბრიელი: – მკაცრი არა, მართალი ვარ. ძირითადად, მაინც მაყურებელია ყველაფრის შემფასებელი. მალე გვექნება თეატრის რეაბილიტირებული შენობა. ეს ბატონი ივანიშვილის დიდი საჩუქარია, გურიის, მთელი ქვეყნისადმი. ვისურვებდი ამ გაახლებულ, დიდებულ შენობაში მაყურებლისა და კარგი სპექტაკლების სიმრავლე, გურიის, ქვეყნის წინსვლა ყოფილიყოს და მაყურებლისა და თეატრის ურთიერთსიყვარული, როგორც ეს გამოვლინდა თუნდაც გუშინ, 2018 წლის 27 მარტს, მსოფლიო თეატრის დღეზე.

ლია კილაძე

გადაცემის სრული ვიდეოვერსია ნახეთ ფეისბუქგვერდზე **ცოცხალი-live**

ჩოლოქის ბრძოლა

(1918 წლის 6 აპრილი)

100 წლის წინ, 1918 წლის 6 აპრილს, ჩოლოქთან ბრძოლაში, საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლების მეთურმა - ვლადიმერ გოგუაძემ,თავისი 90 კაცით 7000 თურქი გაანადგურა! გოგუაძემ თავის „მხედრებს" (ასე ეძახდა) მიმართა: - **„მტერი ერთი ოთხმოცზე იქნება, ვისაც ბრძოლა არ უნდა, ახლავე ჩავიდეს და გენერალთან დაბრუნდეს პოზიციებზე, არავის ვუსაყვედურებ, მე სამშობლოსთვის უეჭველ სიკვდილზე გეპატიჟებითო!"** დაილუპა სამი გმირი ქართველი, თურქებმა კი ათასი (!!!) კაცი მხოლოდ მოკლული დატოვეს და ერთი ამდენი დაჭრილი ქობულეთში ჩაიყვანეს! **1918 წ. 13 აპრილს ამიერკავკასიის სოლქო დელეგატების სხდომაზე ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთლის და ევგენი გეგეჭკორის წარდგინებით გოგუაძე ეროვნულ გმირად აღიარეს და რევოლუციის პირველი გმირის წოდება მიანიჭეს.** გოგუაძე ჯავშნოსანი მატარებელით მონაწილეობდა მთელ რიგ სამხედრო ოპერაციებში, მათ შორის სამხედრო ნაწილების ამბოხების ჩახშობაში ბორჩალოს მაზრაში (1918 წ. ივნ.), სომხეთთან ომში (1918 წ. დეკ.), საბჭოთა რუსეთთან ბრძოლებში (1921 წლის თებ.). ამ უკანასკნელი ომის დროს მძიმედ დაჭრილი გოგუაძე მეგობრებმა სტამბულში წაიყვანეს, სადაც ის ფრანგულ ჰოსპიტალში მკურნალობდა. სტამბოლში მას მეუღლემ, ნამეტია ბერძენიშვილმა ჩააკითხა. 1923 წელს ისინი პარიზში ჩავიდნენ და თავი ლევილის მამულს შეაფარეს. გოგუაძემ ემიგრაციაში დაწერა ვრცელი „მოგონებები",თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯარების საფრანგეთში შესვლისას ავტორმა ხელნაწერები ცეცხლს მისცა. გოგუაძის „მოგონებების" ფრაგმენტები, რომელიც ძირითადად 1890-1919 წწ. პერიოდს ასახავს, გადაარჩინა და 1963 წ. პარიზში ქართულად გამოსცა მისმა მეუღლემ.

ვალოდის გოგუაძის მეუღლის ინიციატივით შეგროვდა თანხა ლევილში სასაფლაოს მოსაწყობად მიწის ნაკვეთის შესაძენად. მას „ლევილის დედას" უწოდებდნენ.

ვალოდია გოგუაძე გარდაიცვალა 1954 წელს, 74 წლის ასაკში. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე. 1988 წელს, 97 წლის ასაკში ნამეტია ბერძენიშვილიც აღესრულა.

გთავაზობთ პროფესორ **იური სიხარულიძის** წერილს „ჩოლოქის ბრძოლა", რომელიც გაზეთ „ალიონის" 2016 წლის №№20-22 დაიბეჭდა. (ქვეყნდება შემოკლებით).

შესავალი

1918 წლის აპრილის ჩოლოქის ბრძოლა ოქროს ასოებით შევა საქართველოს ისტორიაში.

ჩოლოქის პირას გაჩაღებულ ხუთსაათიან ბრძოლაში ქართველებმა ისე იმამმაცეს, რომ მას დავიწყება არ უწერია.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულმა გმირმა ვალოდია გოგუაძემ. აქვე დიდია გენერალ გიორგი მაზნიაშვილის დამსახურებაც, რომელიც ბრწყინვალედ უბამდა მხარს ჯავშნოსანი მატარებლის უფროსის გონივრულ მოქმედებას.

არ შეიძლება საკადრისად არ შევაფასოთ გორის გვარდიის (400 კაცი) ღვაწლიც.

ბრძოლის თარიღი

ბრძოლის თარიღზე მემუარულ ლიტერატურაში მცირედ განსხვავებული ჩვენებებია: გ. მაზნიაშვილი აქ 6 აპრილს მიუთითებს (მოგონებანი, გვ ...). ვ. გოგუაძე კი ერთგან – 7 აპრილს ასახელებს (დაბრუნება, გვ. 440), ხოლო სხვაგან –8 -ს (იქვე, გვ. 445).

უფრო სწორი გ. მაზნიაშვილის (6.04) უნდა იყოს, რადგან გენერალი მემუარებს შინ წერდა და გენერალური შტაბის მასალებზეც მიუწვდებოდა ხელი.

ბრძოლის ადგილი

ბრძოლა მოხდა მდ. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე, რკინიგზის ხაზთან.

მოწინააღმდეგეთა შემადგენლობა

ოსმალნი: მტრის (ოსმალთა) ძალები განლაგებული იყო მდინარის მარცხენა სანაპიროზე არსებულ ტყის მიდამოებში.

ეს ბრიგადა ჰალპოლის დივიზიაში შედიოდა (ამ დივიზიის მეორე ბრიგადა ოზურგეთზე მიემართებოდა).

ჩოლოქს მომდგარი ბრიგადის შემადგენლობას ვ. მგელაძე 7 ათასი კაცით განსაზღვრავს (მოგონებები, გვ....), რაც ქართველ მზვერავთა რაზმის (უგროსი გობრონიძე), ცნობას ემყარება (იქვე, გვ. 441).

ქართველები

ქართველები ჩოლოქის მარჯვენა სანაპიროზე იყვნენ განლაგებულნი (ამისთვის სპეციალურად მომზადებულ სანგრებში).

ესენი იყვნენ გორის გვარდიელები 400 კაცის რაოდენობით (ვ. გოგუაძე, გვ.443).

ამას გარდა ჯავშნოსან მატარებელზე იმყოფებოდა უშიშარ მებრძოლთა რაზმი, რომელსაც ჯავშნოსანის უფროსი ვალოდია გოგუაძე უძღვოდა.

იმ ბრძოლაში იმ რაზმმა ისეთი მამაცობა გამოიჩინა, რომ ყველა მათგანი შთამომავალთა ხსოვნისა და პატივისცემის ღირსია. სამწუხაროდ, რაზმის პერსონალი დღემდე სრულად აღწერილი არ არის.

აი, ზოგიერთი მათგანის ვინაობა, რომლებიც მემუარებში იხსენიებიან:

1. ვალოდია გოგუაძე –№4 ჯავშნოსანი მატარებლის უფროსი, საქართველოს ეროვნული გმირი, ანუ როგორც მას ევ. გეგეჭკორმა უწოდა „რევოლუციის პირველი გმირი" (ვ. გოგუაძე, მოგონებები, წიგნში „დაბრუნება,"თბ. 1992 წ. გვ.446 (ოთხჯერ დაიჭრა);

2. იუსტინე სიხარულიძე, –ჯავშნოსანის უფროსის მოადგილე. რატომღაც არც ვალოდიას მოგონებებში იხსენიება პერსონალურად და არც მაზნიაშვილისაში (დაიჭრა).

სამაგიეროდ შემონახულია სხვადასხვა გამოცემები, რომელიც ამ სახელოვან ბრძოლაში მის აქტიურ მონაწილეობას ადასტურებს (ნიკო ბერძენიშვილი, ნესტორ ბერძენიშვილი, ეპიფანე სიხარულიძე, ანდრია გოგოლაძე, აქვსენტი სიხარულიძე, ანდრია სიხარულიძე, თვით იუსტინეს მონათხრობი და ა.შ).

3. წმიდა გიორგის ჯვრის კავალერი გობრონიძე –მზვერავთა რაზმის უფროსი;

4. სიმონ სკამკოჩაშვილი –მატარებლის ობერკოდუქტორი (დაიჭრა);

5. ელიზბარ გაგნიძე–მემანქანე (დაიჭრა);

6. ნოე გოგუაძე –ჯავშნოსანის უფროსის ძმა (დაიჭრა);

7. აკაკი ურუშაძე –ჯავშნოსანის უფროსის და გენერალ მაზნიაშვილის მეკავშირე.

დაჭრილებმა სულ 25 კაცი შეადგინეს (ისინი ქუთაისში გაგზავნეს სამკურნალოდ).

მოკლულნი: ბარნაბ გოგუაძე (მატარებლის უფროსის ბიძაშვილი, ანდრო ცეცხლაძე და კირილე ბოლქვაძე (იქვე, 443 გვ.).

მატარებელზე უნდა ყოფილიყო აგრეთვე ვალოდიას უმცროსი ძმა მელენტიც, რომელიც 8 აპრილს ოზურგეთს გაიყოლა (იქვე, გვ. 444).

მოწინააღმდეგეთა პოზიციები

5 აპრილს ქობულეთიდან ორ ნაკადადად დაიძრა მტრის ჯარები. ერთი წყება ოზურგეთისაკენ გაემართა, ხოლო მეორე (რიცხობრივად უფრო მეტი) რკინიგზის ლიანდაგს მოყვებოდა და ნატანებზე მიდიოდა.

ქართველთა ჯარების სარდალმა გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა დროულად მიიღო ზომები ორთავე ფრთაზე მტრის ღირსეულად დახვედრისათვის, მაგრამ მარცხენა ფრთამ, რომელსაც მე-4 ლეგიონის მეთაური პოლკ. სიმონ წერეთელი მეთაურობდა, ვერ იმარჯვა და მტრერიც თითქმის დაუბრკოლებლივ დაეუფლა ოზურგეთს. ეს უმოქმედობა ძვირად დაუჯდა წერეთელს და გადაყენეს, მაგრამ ამით ამ სირცხვილს არაფერი ეშველა.

მარცხენა ფრთის ასეთ მდგომარეობას კიდევ უფრო ამაღელვებელს ხდიდა ის დიდი ძლევა, რაც მარჯვენა ფრთაზე განხორციელდა. აქ ყველაფერი მაზნიაშვილის გეგმით წარიმართა და სამაგალითო წესრიგისა და მხედრული შემართებით აღინიშნა.

გენერალი მტრის შემოტყუებას გეგმავდა და კიდეც მიაღწია მიზანს.

დილის 3 საათზე მტერი უკვე მოუახლოვდა მდინარე ოჩხამურის ხიდს, როდესაც ქართველთა არტილერია ამოქმედდა. ოსმალები შედრკნენ, მაგრამ ხიდზე მაინც მოახერხეს გადმოსვლა და მდინარე ოჩხამურსა და მდ. ჩოლოქს შორის არსებულ ტყეს შეაფარეს თავი.

არტილერია კვლავ მოქმედებდა, ოღონდ ქართველთა სანგრები დუმდა. და ეს არა თავისთავად, არამედ გენერლის ბრძანების და დროულად და უდანაკრგოდ დაბრუნდნენ (იქვე).

გობრონიძემ მატარებლის უფროსს მტრის რაოდენობაზე და განლაგებაზეც ხელშესახები ცნობები წარუდგინა (იქვე).

ჯავშნოსანის უფროსმა კარგად უწყოდა თავისი გამოსვლის დრო და ახლა ყოველმხრივ მომზადებული მას ელოდა...

საბრძოლო რაიონის და არტილერიის უფროსი

გენ. გ. მაზნიაშვილმა საბრძოლო რაიონის უფროსად დანიშნა კაპიტანი კარგარეთელი,რომელიც, როგორც ჩანს არტილერიის უფროსობასაც ითავსებდა(გ. მაზნიაშვილი, მოგ. გვ. 19).

ბრძოლის დაწყება და განვითარება (ჯავშნოსნის დიდი როლი)

გ. მაზნიაშვილის ცნობით, ბრძოლა ღამის 3 საათზე დაიწყო ქართულმა არტილერიამ (გ. მაზნიაშვილი, მოგ. გვ 18-19).

მტერი ამ დროს ოჩხამურის ხიდს უახლოვდებოდა და არტილერიაც მის შეფერხებას ცდილობდა.

ოსმალები რკინიგზას მოჰყვებოდნენ, მაგრამ ჩვენი არტილერია გზატკეცილსაც უშენდა, რადგან შიშობდა, რკინიგზიდან მათ გზატკეცილისკენ არ გადაენაცვლებინათ.

ძლიერმა საარტილეო სროლამ დააფიქრა მტერი და იგი, სავსებით სწორად, ფრთხილობდა და ბრძლის დაწყებას არ ჩქარობდა. მისი მთავარი ამოცანა იყო როგორმე ჩოლოქისპირა ტყეებამდე მიეღწია და იქ დალოდებოდა გათენებას.

ეს ამოცანა მან წარმატებით შესრულა და ახლა ალაჰის იმედს მინდობილნი ელოდა ბრძოლაში ჩაბმის ბრძანებას.

ორივე მხარე სამარისებულ სიჩუმეში იყო ჩაძირული და ასე ეგებებოდა სამკვდრო-საციცოცხლო ომს.

ქართველთა ტაქტიკა მტრის შემოტევაზე იყო შეფარდებული, მაგრამ, რადგან ოსმალო არ აქტიურობდა, აუცილებელი იყო რითიმე მათი გამოყვანა ბრძოლის ველზე.

და აი, ჯავშნოსნის ამოქმედების ჟამიც დადგა.

სანამ მატარებელი დაიძვრებოდა, ვ. მგელაძემ თავისი მჭექარე ხმით რაზმს ასე მიმართა:

სამშობლოს დროშა ავღმართოთ,
საქვეყნოდ ავაფრიალოთ,
გავიდეთ ბრძოლის ველზედა,
ბომბები დავაგრიალოთ...
და შემდეგ:
სამშობლოს დროშა აღვმართოთ,
წინ-წინ გავწიოთ მტერზედა,
მას უყვარს დედა-სამშობლო,
ვინც მიდის ბრძოლის ველზედა!
(მოგ. გვ. 441).

▶▶▶ გვ-5

ჩოლოქის ბრძოლა

(1918 წლის 6 აპრილი)

ჯავშნოსნელებს საბრძოლო აღტკინება არ აკლდათ, მაგრამ ამ ლექსმაც შეასრულა, ალბათ, თავისი მიზანდასახულობა.

ამის შემდეგ ჯავშნოსანი აგრიალდა და დილის ხუთ საათზე უკვე ჩოლოქის ხიდთან იყო.(იქვე).

მატარებლის გრიალმა დიდი სიხარული გამოიწვია სანგრებში მყოფ ჯარში.

ხიდს გაღმა ოსმალო გუშაგები იდგნენ, რომელთა დატყვევება იყო აუცილებელი და ეს ამოცანაც ჯავშნოსნელებმა წარმატებით შეასრულეს.

ეს იყო და ჯავშნოსანი გავიდა ხიდზე, შევიდა მტრის ბანაკში და შეჩერდა.

„ოსმალო ჯარს იქაურობა აევსო“–შენიშნავს ვ. გოგუაძე და განაგრძობს: „რკინიგზის აღმოსავლეთით, ნაყანევი ადგილები მტრის ჯარებით იყო გავსებული“ (იქვე, გვ. 441).

ამასობაში გათენდა კიდეც და ზოგიერთი გაბედული ოსმალო მატარებელთანაც მივიდა. ნაწილი კიბეებზე შედგა, ხოლო ზოგიც ქვემეხებისა და ტყვიამფქვევის ლულებსაც ჩამოეკიდა.

ამის დამნახავი სხვებიც წინ წამოვიდა და რკინიგზასთან დიდძალმა ჯარმა მოიყარა თავი.

ამ გულუბრყვილობის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა და ჯავშნოსანის უფროსის ბრძანებით ცეცხლი გაიხსნა...

ამისთანა ვითარება ისტორიში იშვიათია და მას ქართველთა შთამბეჭდავი გამარჯვებაც მოჰყვა.

ჯავშნოსნის ცეცხლმა უმალვე ასობით მტერი იმსხვერპლა, ხოლო ვინც გადარჩა, საფარს მიაშურა და იქედან ისროდა.

ჯავშნოსანი მანევრირებდა და იქეთკენ მიმართავდა ცეცხლს, სადაც მეტი ოსმალო იყო შეგროვილი.

ასეთი მოქმედებით საქმე იქამდე მივიდა, რომ 11 საათისთვის მტერს დიდი ზარალი ჰქონდა მიყენებული, თუმცა იგი მაინც არ ცხრებოდა და „მამაცურად იბრძოდა.“ (იქვე, გვ. 442).

ამ ბრძლის შედეგი იყო, რომ ჯავშნოსნის წინა რონოდში სისხლის გუბე იდგა და რაზმელთა უმეტესობაც დაჭრილი ეყარა.

მძიმედ დაიჭრა ობერკონდუქტორი სიმონ სკამკოჩაიშვილი, რომელიც მატარებლიდან იყო ჩამოსული გზის გასასინჯად. ის მაშინვე აიყვანეს მატარებელზე, მაგრამ მის მოსავლელად არავის ცხელოდა (იქვე).

რამდენიმე საათის ბრძოლაში ჯავშნოსანმა უთუოდ დიდი საქმე გააკეთა, მაგრამ ამ ბრძოლის შეფასებაში ვ. გოგუაძე მაინც აჭარბებს, როდესაც ამბობს, რომ 11 საათისთვის, ვიდრე სანგრები ამოქმედდებოდნენ, თითქოს „მტრის უმთავრესი ძალები უკვე განადგურებული იყო“(იქვე).

ბრძოლის ველზე ამ დროს მხოლდ რამდენიმე ასეული მოკლული და დაჭრილი იწვა, ხოლო ათასობით (სულ 7 ათასი) ჯერ კიდევ საღ-სალამათი და ბრძოლის უნარიანი გახლდათ.

ჯავშნოსანმა ბრწყინვალე პლერუდია შეუქნა ჩოლოქის ბრძოლას, მაგრამ გადამწყვეტი ეტაპი წინ იყო და ის ჯავშნოსნის, არტილერიისა და ფეხოსანთა ერთობლივი მამაცობით განხორციელდა ცოტა მოგვიანებით.

საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ 11 საათზე ჯავშნოსნის პირველი რონოდა რელსიდან გადავარდა.

ვ. გოგუაძე თავის მოგონებებში ამის მიზეზს არ ასახელებს, მაგრამ ამ ხარვეზს გენ. გ. მაზნიაშვილი ავსებს: წინა რონოდის გადავარდნა იმ დრეზინის დაჯახებას გამოუწვევია, რომელიც ოსმალოებს გამოუშვიათ ჩვენი ჯავშნოსანის წინააღმდეგ (გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, გვ. 19).

რატომ გამორჩა ეს დრეზინა ვ. გოგუაძეს, არ ვიცი, მაგრამ მისი და გენერლის მოგონებები ამ ნაწილში ერთმანეთს არ ემთხვევა.

გენერალი დრეზინის გამოშვებას მატარებლის მთავარ ხაზზე გასვლის ახლო ხანებში მიიჩნევს (იქვე), ხოლო ვ. გოგუაძე დილის 11 საათისათვის, როდესაც ჯავშნოსანს დიდი ბრძოლა ჰქონდა უკვე გაწეული (ვ. გოგუაძე, მოგ. გვ. 441).

უფრო სწორი ჯავშნოსანის უფროსის ცნობა უნდა იყოს, რადგან იგი უშუალოდ აკონტროლებდა მას და ყოველი წვრილმანი უკეთ მოეხსენებ

ოდა, ვიდრე სარდალს, რომელიც მთელ ბრძოლას ხელმძღვანელობდა.

წინა ვაგონის გადავარდნამ ძალიან გაახარა მტერი და ჯარისკაცები მისკენ გამოიქცნენ. ასეთ დროს ცეცხლი იყო საჭირო, მაგრამ ბოლო რონოდა რატომღაც დუმდა.

ამ ამბავით გაკვირვებულმა ჯავშნოსანის უფროსმა ბოლო რონოდისკენ ერთი რაზმელი აფრინა, მაგრამ ის ძირს ჩამოსვლისთანავე დაჭრეს და მეომრებმა ისევ რონოდაში დააბრუნეს (იქვე, გვ. 441).

ასევე მოუვიდა მემანქანე ელიზბარ გაგნიძესაც (რაც ითქვა) და ბოლოს თვით ვ. გოგუაძე ჩახტა ძირს და გადავარდნილი რონოდისკენ გახოხდა და მშვიდობიანაც მიაღწია. კარიც გაუღეს და შიგ შევიდა, მაგრამ რას ხედავს, რონოდა სისხლითაა სავსე და მკვდრებით და დაჭრილებით სავსე. ერთადერთი, ვისაც ბრძოლა შეეძლო, ეს ვალოდის ძმა ნოე იყო და ისროდა კიდეც. მაგრამ უფროსმა თავი დაანებინა სროლას და უკანა რონოდაში გაგზავნა. ჩახტა თუ არა ნოე, მაშინვე ხელში დაჭრეს, მაგრამ ამას არ შეუფერხებია, მიაღწია დანიშნულების ადგილს და გადასცა უფროსის ბრძანება ცეცხლის გახსნის თაობაზე.

მალე უკანა რონოდაც ამოქმედდა და მისი ცეცხლით კარგად გადაფარა წინა რონოდა, სადაც ამ დროს მატარებლის უფროსი იმყოფებოდა.

ამით ისარგებლა ვ. გოგუაძემ და სათვალთვალო კოშკზე ავიდა, რათა უფრო კარგად გარკვეულიყო მტრის განლაგებსა და მოძრაობაში.

ეს იყო ოსმალებიც კვლავ დაიძრნენ.... უკანა რონოდის ცეცხლი თანდათან კლებულობდა, რადგან ხშირი სროლისგან ტყვიამფრქვევი მწყობრიდან გამოსულიყო (იქვე, გვ. 445).

ამან საშუალება მისცა მტერს უფრო ენერგიულად დაეწყო შეტევა ჯავშნოსანზე და დასავლეთიდან მაშველი ჯარი შემოასია (იქვე).

როდესაც ჯავშნოსანს აღარც ამუნაცია გააჩნდა აღარც მებრძოლები ჰყავდა, ორი გზა რჩებოდა: ან ჩაბარებოდა მტერს, ან და აეფეთქებინა იგი. ვ. გოგუაძემ უკანასკნელი ამჯობინა, მაგრამ საბედნიეროდ, ელექტრონის მავთული მტრის ტყვიას დაეზიანებია და ეს დიდი ბრძოლის გადამხდელი ჯავშნოსანი – თვითლიკვიდაციას გადაურჩა (იქვე).

ამის შემდეგ ვ. გოგუაძემ აკაკი ურუშაძის პირით თხოვა ჯარის მიშველიება და მალე გორის გვარდიაც გამოჩნდა (იქვე). ისინი ჩოლოქის ფონთ გავიდნენ ბრძოლის ველზე და მამაცური ბრძოლით მალე დასჯაბნეს მტერი, რომელმაც უკან იბრუნა პირი.

შეშინებულ და გატეხილ მტერს დიდხანს მისდევდნენ ქართველი მეომრები და მხოლოდ ოჩხამურის ხიდის გაღმა გასულებს მოეშვნენ. როდესაც უკან დაბრუნდნენ, უკვე „ნაშუადღევის 4 სათი“ იყო (გ.მაზნიაშვილი, მოგონებები, გვ. 40).

ამის შემდეგ ხელოსნებსაც მიეცათ ჯავშნოსანთან მისვლის შესაძლებლობა და რონოდაც მალე შედგეს რელსებზე. გამარჯვებული ჯარი სანგრებს დაუბრუნდა, ხოლო ჯავშნოსანი -ჩიხს (იქვე).

ასე დამთავრდა ეს შესანიშნავი ბრძოლა.

ოსმალთა დანაკლისი

მტრის ზარალი ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის. გენ. გ. მაზნიაშვილი კორპუსის სარდლის გენერალ ვასილ გამაშვილისადმი (შტაბი სამტრედიას) გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ოსმალთა მსხვერპლს წინასწარულად „ხუთასკაცზე“ მეტს ვარაუდობდა (გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1990, გვ. 41).

ამ ბრწყინვალე გამარჯვების ხმა შორს გავარდა და ქართველ სამხედროთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მოსალოცად და ბრძოლის ველის დასათვალიერებლად მეორე დღესვე (7.04.1918) ჩავიდნენ ნატანების კორპუსის სარდალი და მაშინდელი ქართული არმიისა და გვარდიის თვალსაჩინო ხელმძღვანელები: ვალიკო ჯუღელი, პოლკოვნიკი ალექსანდრე დგებუაძე, გენერალი ს. მაისურაძე და პოლკოვნიკი კონიაშვილი, რომელთაც უშუალოდ დაათვალიერეს ამ საოცარი ბრძოლის ადგილი (მდ. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე) და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დაღუპულ ოსმალთა რიცხვი ველსა და მიმდებარე ტყეში ერთადაღებული „ათასამდე“ იქნებოდა.

დიდი ჩანს მტრის დაჭრილთა რიცხვიც. როგორც ბათომიდან იმ საღამოს (6.04) ამოსული ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე ბრძანებდა, იმავე დღეს ქობულეთიდან ბათომს მატარებლით გადაუყვანიათ 600-მდე დაჭრილი ოსმალო (იქვე, გვ.40).

ქართველთა ზარალი

ქართველთა გვარდია, რომელიც ჩინებულად იყო შეფარებული სანგრებს და არსებითად ბრძოლის ველი საკმოდ იყო დაშორებული, პირველ ხანებში ნაკლებად უნდა დაზიანებულიყო. სხვა საქმეა მას შემდეგ, რაც ისინი ჩოლოქის ჩოლოქის ფონით მარცხენა სანაპიროზე გადავიდნენ.

ყველაზე უფრო ჯავშნოსანი მატარებლის რაზმი დაზიანდა. ეს ბუნებრივიცაა. ამ ბრძოლის მთელი სიმძიმე მათ ზურგზე გადაიარა და ზიანიც შესაბამისი იყო.

საკმაოდ დიდი იყო დაჭრილთა რაოდენობა. ორ ათეულზე მეტი იყო. აქედან 25 ქუთაისს გაგზავნეს სამკურნალოდ (ვ. გოგუაძე, მოგონებები, გვ. 443), ხოლო ზოგიც ადგილზე დარჩა, კერძოდ ვალოდია გოგუაძე, რომელსაც ოთხი ჭრილობა ჰქონდა, მათ შორის ერთი განსაკუთრებით მძიმე, ტყვია თითქმის ბარძაყამდე იყო მისული (იქვე).

დაჭრილი გმირი მიხეილ ნაკაშიძეს წაუყვანია ოჯახში, კარგადაც მოუვლია და გამასპინძლებია კიდეც (იქვე), მაგრამ ოპერაციისათვის მიქელ-გაბრიელს არავითარი საშუალება არ იყო და უნდა მოეთმინა დაჭრილს.

მეორე დღეს ის უკვე ფეხზე იდგა და გენერლის ავტომობილით ოზურგეთისაკენ მიქროდა, სანამ მტერი არ შეაჩერებდა ვაშლნარს და კვლავ ახალ ჭრილობას არ მიაყენებდა (იქვე, გვ.444).

ამათ გარდა რამდენიმე კაცი კიდევ ყოფილა დაჭრილი (ალბათ გვარდიელებიდან). ამას მოწმობს გენ. მაზნიაშვილის ცნობა, სულ 30 დაჭრილის

გენერალი მაზნიაშვილი

თაობაზე (მისი მოგონებები, გვ.40).

ეს 5 კაციც, ალბათ, ქუთაისს იყო გაგზავნილი, სადაც სხვები.

გვარდიელთაგან, ჩანს, ერთიც დაღუპულა, რადგან, როგორც გენერალი ბრძანებდა, ამ ბრძოლაში ჩვენებს მხოლოდ 4 კაცი დაუკარგავთ (იქვე).

აქედან სამი ჯავშნოსანიდან იყო და ყველა მათგანის ვინაობაა ცნობილი ვ. გოგუაძის მოგონებების წყალობით. მეოთხეს ვინაობას არც გენერალი გვამცნობს და არც ვ. გოგუაძე. ამ გმირს არც სხვა ვინმე გამოჩენია გამოსავლენად და სამახსოვროდ.

ჩოლოქის გმირი თბილისს

მტერს კარგახნით დაუკარგავს ხალისი ნატანებზე წამოსვლისა, მაგრამ ვალოდია გოგუაძე ფრონტზე მაინც საჭირო იყო, თუმცა მისი მკურნალობის გადადება კიდევ შეიძლება ძვირი დაჯდომოდა ქვეყანას. ამიტომ იგი იძულებული იყო, მისივე უკვე ლეგენდარული ჯავშნოსნით დედაქალაქს გამგზავრებულიყო.

იმავე მატარებლით მიასვენებდნენ ბრძოლაში დაღუპულებსაც, რომელთა გვამებსაც ჯავშნოსანის უფროსი ჭირისუფლებს უტოვებდა სამძიმრის წერილის თანხლებით (იქვე, გვ. 445).

იმ დროს უკვე მთელ ქვეყანაში იყო განფენილი ვ. გოგუაძის საარაკო გმირობა და რკინიგზის სადგურებში ჯავშნოსანს „აუარებელი ხალხი“ ეგებებოდა (იქვე).

და ხდებოდა არა პასიურად, არამედ მიტინგებს მართავდნენ და მგზნებარე სიტყვებსაც წარმოთქვამდნენ (ნესტორ ბერძენიშვილი (1880-1970) ცნობა).

პირველი ასეთი შეხვედრა სუფსას ამართულა, შემდეგ ლანჩხუთს, სამტრედიას, ზესტაფონს და ა.შ.

კიდევ უფრო დიდი იყო დედაქალაქის დახვედრა და უკიდეგანო სიხარული (ვ. გოგუაძე, მოგ. გვ. 445).

თბილისის ვაგზალზე მთავრობის წარმომადგენლები და ჟურნალისტებიც ბლომად იყვნენ (იქვე).

ჯავშნოსანი შეაკეთეს და მალე კვლავ ბრძოლის ველზე გავიდა და კვლავ დიდი სამსახური გაუწია საქართველოს არმიას (ამ ჯავშნოსანზე ერთ დროს, ალბათ მშვენიერი გამოკვლევაც დაიწერება).

„რევოლუციის პირველი გმირი“

დედაქალაქის ასეთი საზეიმო შეხვედრა, რაც ვალოდია გოგუაძეს ერგო, საუკუნეთა განმავლობაში არც ერთ ქართველს არ ღირსებია, მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობა მარტოოდენ ამით არ ფიქრობდა მისი ღვაწლის დაფასებას და მას მთავრობის სასახლეში უპირებდა მისალმებას.

ეს იმავე წლის 13 აპრილს მოხდა თეთრ დარბაზში, სადაც საოლქო ყრილობა მიმდინარეობდა.

ყრილობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ, როდესაც სპეციალურად მოწვეულ გმირს მოჰკრა თვალი, პრეზიდიუმში მიიწვია, დროებით შეწყვიტა კამათი და დარბაზს, რომელშიც 1500-მდე დელეგეტი იყო შეკრებილი, მიმართა: -„გთხოვთ მიესალმოთ ამხანაგ გოგუაძეს, რომელმაც მტერი დაამარცხა და ხიფათისგან გვიხსნა“(ვ. გოგუაძე, მოგონებები, გვ. 446).

ჟორდანიას ამ სიტყვებს დარბაზის დიდი ოვაციები მოჰყვა (იქვე), მაგრამ ამით არ დამთავრებულა ეს შეხვედრა.

სიტყვა აიღო ქართველმა ოქროპირმა ირაკლი (კაკი) წერეთელმა და ჩვეული ორატორული ხელოვნებით დაახასიათა ჩოლოქის გმირი.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს ევგენი გგეჭკორს და ჩინებულად დაუხატავს რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი და ჩოლოქის იშვიათი ძლევის გმირის პორტრეტი. დასასრულ, სხდომისთვის მუმართავს, რომ ასეთი სახელოვანი მებრძოლისთვის ეძღვნათ „**რევოლუციის პირველი გმირის**“ სახელი.

დარბაზმა ერთხმად დაუჭირა მხარი გეგეჭკორს და დაუდასტურა წინადადება (იქვე).

ამის შემდეგ სიტყვა მიეცა გმირს.

ვალოდია კარგი ორატორი იყო და სიტყვა უჭრიდა. ამაში პოეტური ბუნებაც უწყობდა ხელს, მაგრამ იმდენად ბევრი არ ულაპარაკია, რადგან, როგორც დასწრეები იუწყებიან, ქებამაც ძალიან დაასა და ტყვიანი ფეხიც ძალიან აწუხებდა.

დარბაზი კვლავ დიდი ოვაციით გამოეთხოვა საყვარელ გმირს და შემდგომი წარმატებები უსურვა (ნესტორ ბერძენიშვილი).

იური სიხარულიძე,
პროფესორი

სულთათანა

ტრისტან (ტიტო) ასანიძის ხსოვნას



ისევ მოვიდა გაზაფხული... ისევ მოვიდა მკვდრეთით აღდგომა... მოვიდა, მაგრამ უშენოდ... დარჩა მწარე მოგონებები, სევდა, ტკივილი, უამრავი ცრემლი და მონატრება...

საბედისწერო აღმოჩნდა 2017 წლის 16 აპრილი შენთვის და ჩვენი ოჯახებისთვის. წავიდა კაცი, რომელიც ყველას დააკლდა,– მეგობრებს, ახლობლებს, მაგრმ ყველაზე მეტად შენს მშვიდ ოჯახს, რომელზეც ასე ზრუნავდი, თუმცა შენ ყველაზე ზრუნვას ახერხებდი, ყველა გიყვარდა, ყველას გვერდით მდგომი, დაუზარელი, დასაყრდენი კეთილშობილებით სავსე იყავი. ამიტომაც დაიმსახურე უზარმაზარი სიყვარული ირგვლივ მყოფთაგან. ესეც ხომ იშვიათია.

ხშირად მიფიქრია, ნეტავ როგორ უნდა იცხოვრო, რომ აქ დარჩენილთა გულებში ასეთი ნათელი დატოვო.

ამ წერილის წერის დროსაც ცრემლი მერევა, შენი და პატარა ლიზის სიკვდილი მეხის გვარდნას ჰგავდა... რატომ? რატომ ასე ადრიანად, მოულოდნელად... ალბათ ღვთის ნება იყო, შენ და ლიზი ხომ ღთის რჩეულები ხართ...

იყავი მშვიდად, გულში ჩაიკარი პატარა ლიზი... ვიცი, კარგად მოუვლი, შენს ილიას კი კარგ ქართველ ვაჟკაცად გაზრდის შენი ლამაზი ოჯახი.

ისევ მოვა გაზაფხული... ისევ მოვა ქრისტეს აღდგომა... მაგრამ უთქვენოდ...

ღმერთო! მოგვეცი ძალა და გამძლეობა ამ განსაცდელის გადასატანად!

ლეილა ქვილორია

გარდაცვლილ მოჭადრაკეთა მემორიალური ტურნირი ჭადრაკში

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა მემორიალური ტურნირი ჭადრაკში, რომელიც გარდაცვლილ მოჭადრაკეთა ხსოვნას მიეძღვნა. იგი ტრადიციულად აღდგომის მომდევნო კვირას იმართება და მასში ,როგორც თანრიგოსანი, ისე მოყვარული მოჭადრაკეები ღებულობს მონაწილეობას. ამჯერად ტურნირში სამი ოსტატობის კანდიდატი, 6 პირველთანრიგოსანი და რამდენიმე მოყვარული ღებულობდა მონაწილეობას. შეჯიბრება აქტიური ჭადრაკის სახით (30 წუთი პარტიის ბოლომდე) ჩატარდა.

შეჯიბრების ორგანიზატორმა ზურაბ ანდღულაძემ ღონისძიების გახსნის ცერემონიალზე მრავლად შეკრებილ ჭადრაკის მოყვარულებს გაახსენა ის მოჭადრაკეები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ რეგიონში ჭადრაკის პოპულარიზაციის და განვითარების საქმეში.

მათ შორის გამორჩეულად აღინიშნა გრიგოლ კალანდარიშვილი, რეზო ჭყონია, სიმონ გუგუნავა, ოლია შათირიშვილი, გივლა ლომჯარია, კაკო შავიშვილი, ომარ ბიჭიკაშვილი, ამირან გოგუა, თორნიკე ხვედელიძე, მიშა ცენტერაძე, ვაჟა და ანზორ ჭანუყვაძეები და ბევრი სხვა.

საკუთრივ ტურნირი საინტერესოდ წარიმართა, რომელიც გურიის მოქმედი ვიცე-ჩემპიონის გივი სიამაშვილის გამარჯვებით დამთავრდა. მან ორი ყაიმის გარდა ყველა მოიგო და 10 ქულა დააგროვა. არანაკლებ შთამბეჭდავი და მოულოდნელი შედეგი აჩვენა რებული მჟავანაძემ , რომელმაც ასევე 10 ქულა დააგროვა (1 წაგება, 10 მოგება). დებულებით ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრის შედეგს. რომელიც გივის უკეთესი ჰქონდა. მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ოზურგეთის(თემების) გასული წლის ჩემპიონი აკაკი გოგუა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა მეოთხე საპრიზო ადგილზე გასული, ყველასათვის ცნობილი 87 წლის რომანი კუტუბიძე, რომელიც კომბინაციურ, ლამაზ სანახაობით ჭადრაკს თამაშობს.

წარმატებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდა სპეციალური დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით, რომელიც გურიის ჭადრაკის ფედერაციის ვ/პრეზიდენტმა ზ.ანდღულაძემ და ოზურგეთის სპორტული ცენტრის წარმომადგენელმა რ. მუჯირმა გადასცეს.

მერცხალმა“ „ოდიში 1919“ დაამარცხა

ოზურგეთის „მერცხალმა“ ჩხოროწყუს „ლესიჭინეს“ გათამაშებიდან მოხსნის გამო, მასთან მოპოვებული 3 ქულა დაკარგა.

დღეს ოზურგეთში „მერცხალმა“ ზუგდიდის „ოდიში 1919“ უმასპინძლა და 3: 2 დაამარცხა.

სხვა მატჩები ასე დასრულდა: „მეტა“-„ზანა“3:0; „ხიხანი“-„ეგრისი“1:1; „დინამო 2“ (ბათუმი) 7:1.

გათამაშების ცხრილს 6 ტურის შემდეგ „დინამო 2“ 11 ქულით ლიდერობს; შემდეგ მოდიან: „მეტა,“ „ეგრისი,“„ხიხანი“6-6 ქულა; 5-5 ქულა აქვთ „ოდიში 1919“,„მერცხალს,“ ზანას“; „სქურს“ 2 ქულა აქვს.

სკანვორდი





№ 14-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ალექსანდრე ჭავჭავაძე, სახელმწიფო ევროპაში ლუქსემბურგი, ძლიერი ქარი ქარიშხალი, ანისი ერევანი, ქართველი კინორეჟისორი ბაბლუანი, ხელსაბანი წურწუმა, სასარგებლო მარგი, გერმანული საფეხბურთო კლუბი ვერდერი, სოფლის გზა შარა, კარგი ამინდი დარი, ქალაქი ესტონეთში ტარტუ, ძეხვეული სოსისი, აჭარული დიალექტი ჭო, ჯაყოს ხიზნების პერსონაჟი მარგო, დიდი ოთახი დარბაზი, ხმელი ბალახი ჩალა, კარის საკეტი ურდული, ნინო მოფერებით ნი, ქალის საცხენოსნო კაბა ალმაზონი, ერთგვარი კანფეტი ირისი, დასასვენებელი სახლი ვილა, ღვთისმეტყველი მერჩულე, სურდო რინიტი, მუნიციპალიტეტი იმერეთში ხონი, ალმაცერი ირიბი, ზღვის თევზი კატრანა, მესამე პირის ნაცვალსახელი იგი, უცნობი მათემატიკური სიდიდე იქსი, ჟღალი ქერა, ქაღალდის დასტა ოზმა, დიდი საღვინე გოზაური, ალანი ოსი, მდინარე რუსეთში დონი, მამაკაცის სახელი ზაური, გაზაფხულის თვე მაისი, აფრის ტიპი ფოკი.

ქალაქი ოზურგეთი

სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8,11

მამია გურიელი

ლევან დადიანი ცოლისძმა იყო გურიის მთავრის სიმონ მამიას ძე გურიელისა. ესე “სიმონ იყო მხნე, ახოვანი, შემმართებელი“.

1621 წელს სიმონ გურიელმა ლევან დადიანის და დაისვა თანამეცხრედ. ამ ქორწინებასაც გარკვეული მიზანსწრაფვა ედო საფუძვლად.

1618 წელს იმერთა მეფემ გიორგიმ მეფე პოეტ თეიმურაზ პირველის შთაგონებით “მოგვარა ძეს თვისსა ალექსანდრეს ცოლად ასული მამია გურიელისა და აქორწინა იგი. შემდგომად ეშვა ალექსანდრეს ძე ბაგრატი.“

ორი წლის შემდეგ იჭვის თვალი დაადგა ალექსანდრე გიორგის ძემ თავის თანამეცხედრეს. “შესწამა ალექსანდრემ ცოლს თვისსა, როცა სიძვად ქუთათელის ვაჭრისა თანა და განუტევა ცოლი თვისი და წარავლინა ძით ბაგრატით მამის მისის გურიელის მამიას თანა.“

სიძის-ალექსანდრე გიორგის ძის მზაკვრობამ, ქუთაისელ ვაჭართან გურიის მთავრის ასულის ინტიმური კავშირის გამომზეურებამ, რომელიც საფუძველს მოკლებული იყო, განარისხა და იმერთა სამეფოს საწინააღმდეგოდ განაწყო მამია გურიელი. ოდიშის სამთავროს ტახტთან დამოყვრება და ლევან დადიანთან შეკავშირება გადაწყვიტა მან. “ესე შეუჩნდა გურიელს და ეძრახა დადიანს ლევანს და მოითხოვა დაი მისი მარიამ, ნაშობი ათაბაგის ქალისაგან ძის სიმონისათვის.“

იმერეთის სამეფოს მიწყივ მოსისხარს-ლევან დადიანს “ფრიად ეამა ესე განზრახვა მამია გურიელისა. განიხარა მტერობა გურიელისა და მეფისა და მისცა დაი თვისი სვიმონს ძესა გურიელისასა, და ქმნა ქორწილი.“

სიძის-სიმონ გურიელის ავკაცობამ მალე დაჩრდილა ტირანი ცოლისძმის-ლევან დადიანის სისასტიკე და “საქმენი საგმირონი.“მამის მამია გურიელის მოკვდინება განიზრახა ამ ვერაგვმა მთავარმა და 1625 წელს კიდევაც აღისრულა განაზრახი. “შედგომად ამის, განარისხა ღმერთი და მოკლა მამა თავისი მამია გურიელი ძემან თვისმან სიმონ, მწოლარე სარეცელსა ზედა ძილად.“ გურიის ქვეყანა და მისი სატახტო შესძრა ამ გაუგონარმა ამბავმა. ავ გიორგის და კონსტანტინე მირზასთან ერთად საქართველოს მარტიროლოგიას, სიმონ გურიელის სახით კიდევ ერთი მამის მკვლელი შეემატა.

კასტელი წერს: “კოლხებს არა ნაკლებ სძულდათ მთავარი სიმონით, თვით დადიანზე ბევრად უარესი, უსინდისო და სასტიკი იყო. მან ახალგაზრდობაში ტახტზე მჯდომი საკუთარი მამა სასიკვდილოდ გასწირა და ყელი გამოსჭრა. მშობლის მკვლელობა ხომ უფრო სასტიკია, ვიდრე მრუშობა.“

მამის მკვლელმა გურიის მთავარმა განდიდებული ცოლისძმის-ლევან დადიანის დამხობა განიზრახა. მიერთვენ სიმონ გურიელს ლევან დადიანზე გულჯავრიანნი: ყოფილი სიმამრი – გაუბედურებული დარეჯან შარაშიას მამა, აფხაზთა მთავარი სეტემან შარაშია. 1622 წელს გოჭოურას ბრძოლაში ლევან დადიანის მიერ ძლეული იმერთა მეფე გიორგი III. შემუშავდა შესაფერისი “ბარბაროსაც.“

ლევან დადიანის ფიზიკურად მოსპობა, ოდიშის სამთავროს ტახტზე მისი უმცროსი ძმის – იესე მანუჩარის ძე დადიანის დამკვიდრება, მანუჩარ პირველს ათაბაგის ქალის, ვახტანგ პირველი გურიელის ქვრივყოფილისგან რომ ეყოლა.

შეთქმულების ცენტრს ქალაქი ოზურგეთი წარმოადგენდა, თავსა და ბარახტარს-სიმონ გურიელი. სულსა და გულს ოზურგეთის ციხეში გამომწყვდეული “სადადიანო ზვარაკად“ გამწესებული ლევან დადიანის ვეზირ ყოფილი პაატა წულუკიძე.

დილეგიდან გამოიხმო სიმონ გურიელმა პაატა წულუკიძე. ითათბირეს და განაბჭეს თუ ვისი ხელით უნდა აღსრულებულიყო ლევან მეორე.

შესაფერისი მანქურთი კაცის კვლაში რომ ბადალი არ ჰყავდა სასახლის ინტრიგებში სახელმოხვეჭილმა წულუკიამ გამონახა. “მთავარმა სიმონმა ასწონ-დასწონა ეს საქმე და დადიანის მოკვლის განზრახვა იმერეთის მეფე გიორგის გაუმხილა. ამ საქმემ არა ნაკლებ დაინტერესა აფხაზეთის მთავარიც, რომელიც მაშინვე მიემხრო მათ. შეთქმულებმა გადაწყვიტეს შეესრულებინათ განზრახვა... ფარულად მოეკლათ დადიანი. მათ ფიცით განამტკიცეს რომ ამ გადაწყვეტილებაზე არავის შეეცვალა აზრი.“

სიმონ გურიელი, სეტემან შარაშია, გიორგი III მეფე იმერთა, რომელთაც ლევან დადიანის ძმა იოსებიც შემოუერთდებოდა რჩეული ლაშქრით სამთავე მხრიდან უნდა შემოწყობოდნენ “ლევან დადიანის სამეფოს“:

“... მონახეს კაცის მკვლელობაში დახელოვნებული და მოხერხებული რომელიღაც ყაჩაღი, რომელსაც სისრულეში უნდა მოეყვანა მათი განზრახვა. ეს ამბავი არცერთ მათგანს არ უნდა გაემჟღავნებინა“.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით დადიანის მოსაკვდინებლად გამოყოფილი, კაცის კვლაში დახელოვნებული ყაჩაღი, ტომით აფხაზი იყო. “აფხაზმა – აღნიშნავს ლამბერტი, - გიორგი დადიანის ჩვეულება, რომ ყოველ საღამოს ვახშამს ერთს და იმავე ადგილას მიირთმევსო; ამ ადგილას ხის ტიხარი არისო, რომელსაც დადიანი ზურგით მიაწვება ხოლმეო. გაენდო მერიქიფეს, რომელიც დიდი ერთგული იყო იოსების და სთხოვა მაცნობეო, როცა დადიანი ვახშმის დროს ჩვეულებრივზე უფრო გონება გაფანტული იქნესო.“ კასტელის გადმოცემით საყვარელ ბიცოლაზე ნესტან დარეჯან ჭილაძეზე ჯვრის დასაწერად ემზადებოდა “ხვანჯიანი და სასტიკი“ ლევან II. სეფა კოლხეთის დაბურული ტყის ჩრდილში იყო მოწყობილი. საქორწინო ნადიმი რამდენიმე დღეს უნდა გაგრძელებულიყო. “ლხინი დაიწყო, როცა ნადიმზე მყოფი სტუმრები შეზარხოშდნენ, თითქოს ბედისწერა ხდებაო, შუა ღრეობის დროს შეთქმულ მეფე-მთავრების მიერ შემოგზავნილი კაცისმკვლელი შემოიპარა, მან თავისი ცხენი ტყეში მიაბა, შეუმჩნევლად და ფრთხილად სუფრასთან კი არ მივიდა, სადაც მთავარი იჯდა, არამედ მუსიკოსების სამყოფელთან, სადაც სტუმრების გასართობი ახალი სასიყვარულო სიმღერები იმოდა. იგი მთავარს უკან ამოუდგა, შუბი მოიმარჯვა და ზურგში აძგერა, მკვლელმა სწრაფადვე უკან მიაშურა ხეზე მიბმული ცხენი აუშვა, შეჯდა და გააჭენა, რომ სიცოცხლე გადაერჩინა... იგი სწრაფად მიაქროლებდა ცხენს...“

არქანჯელო ლამბერტის ცნობა: ლევან დადიანის მკვლელობის სცენა “აფხაზი ზურგში მიეპარა დადიანს და ტიხარიდან მახვილი ისე ჩასცა, რომ წვერს პირდაპირ წვერში გაევლო. მაგრამ დადიანი, როგორც კი იმან იგრძნო მახვილის წვერი, პირქვე დაემხო სუფრაზე. ამგვარად გადარჩა სიკვდილს და მხოლოდ მსუბუქი ჭრილობა მიიღო. აფხაზმა მაშვინვე თავს უშველა, მარდად შეახტა ცხენს და ბნელი ღამის წყალობით ისე გაიპარა, რომ შემდეგ მისი სახსენებელიც ვერავინ გაიგო.“

თითქოს სააქაო პირი აღარ უჩანდაო და მაინც გადარჩა ლევან დადიანი. “მის ჭრილობას დიდხანს მკურნალობდნენ გამოცდილი ქირურგები და ექიმები. მრავალ დღე-ღამეს თავზე ადგნენ; იგი ძლიერ დასუსტებული იყო, მაგრამ იმდენი იღონეს რომ ფეხზე მაინც წამოაყენეს. მისი გონება და თვალი თავდამსხმელის ბილიკს მისჩერებოდა,“ მომავალი პროსკრიბციების შიშით გაირინდა ლიხთ აქეთა მხარის საქართველო.

“პირველად დაიჭირეს მერიქიფე, რომელიც მთავარს ემსახურებოდა იმ საღამოს, როცა აფხაზმა დასჭრა.“ შანთებმა მეტყველი გახადა იგი. “მაშინვე რიგ-რიგობით ჩამოთვალა შეთქმულები... დადგა სასტიკი მსჯავრის დღე. მერიქიფე და მისი ორი ძმა, რომელიც მონაწილენი იყვნენ მისნი, ორივე ერთნაირად დასაჯეს. ორივეს თვალი ამოსთხარეს და ცალცალი ხელი და ფეხი მოსჭრეს“.

კასტელის ცნობით, ლევან დადიანის ერთგულებს “გაუჩინარებული მკვლელი“, მაინც აღმოეჩინათ და საჩინო გაუხდიათ. თავდამსხმელის მოსაძებნად მრავალრიცხოვანი მდევარი გაგზავნეს. მათ ეჭვით, ფარულ მკვლელობაში დახელოვნებული ბორკილგაყრილი კაცი მოიყვანეს. დადიანი ჯერ კიდევ ლოგინში იწვა, როცა ეს კაცი თავისთან მოაყვანია და ბრძანა მისთვის თვალები დაეთხარათ, ქონება ჩამოერთმიათ და ისე გაუშვეს.“

მერიქიფის, მისი ორი ძმის და მკვლელობაში დახელოვნებულ ავაზაკთან სასტიკი ანგარიშსწორების შემდეგ დღის წესრიგში დადგა უმთავრეს შეთქმულთა – სიმონ გურიელის, სეტემან შარაშიას, გიორგი III იმერთა მეფის და სიმონ გურიელის კარზე – ოზურგეთში მყოფ პაატა წულუკიძის ღირსეულად დასჯის საკითხი.

თავზარდაცემულმა გიორგი იმერთა მეფემ ერთგულება და მორჩილება შეჰფიცა მთავარს და ასე გადაირჩინა თავი. აფხაზეთის მთავარი ისედაც დასჯილი იყო შვილის განადგურებით. რჩებოდა მხოლოდ ორი. საკუთარი სიძე სიმონ გურიელი და ვეზირყოფილი ბზეწკად ხმობილი პაატა წულუკია გურიის სამთავროს ასაკლებად ამხედრდა ლევან დადიანი. მოღალატენი უნდა დასჯილიყვნენ. მათი ადგილსამყოფელი ოზურგეთის ციხე – ქალაქი უნდა განადგურებულიყო. ოზურგეთზე ლევან დადიანის ლაშქრობის ამბავთა მთხრობელია სახელოვანი პატრა დონ ქრისტიფორე დე კასტელი:

“დადიანმა ყველა კოლხი დიდებული სასწაფოდ მოიხმო და მომავალი ომისათვის შეიარაღების სამზადისს შეუდგა, რისთვისაც მთელ საბრძანებელში 30000 კაცი უნდა შეყრილიყო. მეომართა შესაკრებად მაშინვე ყველა მხარეს მაცნეები გაგზავნეს ისე, რომ უკვე მეორე დღის გარიჟრაჟზე ხალხი საომ-

სიმონ გურიელი

რად გამოცხადდა, ისე როგორც საჭირო აღლუმზე გამოვა ხოლმე, მათ შორის უმეტესობა ცხენოსანი იყო. “...ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში ერთბაშად საშინელი ხმაური ატყდა, თითქოს ერთდროულად ჭექა – ქუხილის და ლომების და ხარების ღრიალიაო... წინათ ასეთი უჩვეულო ხმაური არასოდეს სმენიათ.“

უპირველესი იერიში მთავრის ტახტის პრედენდენტ იოსებ დადიანზე, როგორც უზენაესი ხელისუფლების ხელმყოფელზე მიიტანეს და თვალები დასთხარეს.

შემდგომ წულუკიას მისდგნენ: მსგავსი საშინელებით არც კოლხეთსა და არც იბერიაში მანამდე, არც მის შემდეგ არავინ დაუსჯიათ. მოვუსმინოთ ავტორებს:

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანეზე: ლევან დადიანმა მისი პირველი ცოლის დარეჯან შარაშიას “საყვარელი ქვემეხში შეაგდო და ჰაერში ააფეთქა“.

დონ არქანჯელო ლამბერტი: “ამ საქმის მოთავე ვეზირი (პაატა წულუკია) ჯერ ღამით დაახრჩეს, მერე დღისით ერთ დიდ ზარბაზანში ჩადეს, ცეცხლი მისცეს და ამგვარად მისი სხეული ნაკუწ-ნაკუწებად ქცეული, ჰაერში გაიბნა.“

ენვერ გოგუაძე

ლევან გურიელის ყოფილი მეუღლე დარეჯან შარაშია

ეწვიეთ მაღაზია „ლილეას“

ქ. ოზურგეთის ცენტრში, ავტოსადგურთან ახლოს გაიხსნა მაღაზია-სალონი „ლილეა“ აქ არის ყვავილების სალონი, შეგიძლიათ შეიძინოთ ორიგინალური საჩუქრები, საქსოვი ძაფები, ბისერები, მძივები, ღილები და ა.შ

ეწვიეთ „ლილეას,“ კმაყოფილნი დარჩებით!

მისამართი: ქ. ოზურგეთი, აპ. წულაძის . №5

რ

მილოცვა

საყვარელ

ნატა გიორგაძეს

ვულოცავთ

ბრილიანტის

დაბადების დღეს!

ვუსურვებთ

ჯანმრთელობას,

წინსვლას, ბედნიერ

მომავალს და ულევ

სიხარულს.

ხათუნა და თამაზი

ჩხარტიშვილები

დ

საოცრად ფერადი, უსაზღვრო ფანტაზიისა და სიყვარულის გაზიარების დღე

პასქის ფესტივალი წლეულს გაიმართა 11 აპრილს, ბრწინვალე შვიდეულის ოთხშაბათს, სოფელ ლიხაურში, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში.

პასქის ფესტივალი გურიაში, ოზურგეთში 2011 წლიდან იმართება. მისი იდეის ავტორი და დამფუძნებელია ლია კილაძე, ჟურნალისტი. დღემდე ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 230-ზე მეტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა, გაიცა ამდენივე პრიზი და სიგელი. მონაწილეთა გარდა, ფესტივალს ყოველწლიურად სტუმრობს ასობით ადამიანი.

შარშან პირველად გავიდა ფესტივალი ქალაქ ოზურგეთიდან. სოფ. შემოქმედში მისი ჩატარება მაშინდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონი მერაბ ჭანუყვაძის ინიციატივა იყო და შესაბამისი ორგანიზებაც მუნიციპალიტეტის სამსახურებმა ითავეს.

წლეულს ლიხაურის მოსახლეობის თხოვნით მიუხედავად მეტი ორგანიზაციული სირთულისა ისევ სოფელში, ამჯერად, ლიხაურში შევიკრიბეთ.

ფესტივალის პარტნიორი და მხარდამჭერია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია. თანადგომისათვის დიდი მადლობა ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს, ბატონ დავით დარჩიას, გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებს.

ასევე დიდი მადლობა მხარდაჭერისათვის ნოტარიუს ქალბატონ მაგდა როყვას, ბატონ გია ხუჭუას და „ანასეული ვოდკას“, შ. პ. ს. „ვასაძის პურს“, ს.ს.. „იმედის“ ხელმძღვანელს ბატონ ოლეგ გობრონიძეს, "მოდერნი-2009"-ს.

პასქის ფესტივალი მცირე ბიუჯეტით, ზოგჯერ ენთუზიაზმით არსებობს და ფაქტობრივად, სახალხო ფესტივალია. დიდი მადლობა ყველა მხარდამჭერს.

საუკეთესო გემო - ნინო კეჭაყმაძე, საკონდიტრო სახლი „ფანტაზია“, მაკვანეთის საბავშვო ბაღი, ჭანიეთის საბავშვო ბაღი;

ნინია სვანიძე მხატვრული კომპოზიცია-გაზაფხული;

ლიხაურის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მრევლი, ლიხაურის საჯარო სკოლა, ლიხაურის საბავშვო ბაღი - საუკეთესო მასპინძელი;

საქველმოქმედო ასოციაცია გურია „ხალხსის სიმპათია“;

ოზურგეთის თეატრი -საუკეთესო მასპინძელი;

თოჯინების თეატრი - შემოქმედებითი კომპოზიცია;

ბავშვთა სტუდია„ბინული“ - ნორჩი კულინარი-დიზაინერი;

გაბრიელ ეპისკოპოსის სამრევლო სკოლა ნორჩი კულინარ--დიზაინერი;

ახალგაზრდული კავშირი ევროკლუბი - ნორჩი კულინარ--დიზაინერი;

ბავშვთა გასართობი ცენტრი „ჭიამაია“ ნოვაციური კომპოზიცია;

უფლის ანგელოზები- ნანი სალუქვაძის კლასი, პირველი სკოლა - მედიის სიმპათია;

მოსწავლე-ახალგაზრდობის და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანება- ტრადიციული პასქა;

სტუდენტური სათათბიროს მოხალისე პატრიკ ჟუკოვსკი - ფესტივალის სტუმარი;

ფესტივალზე ხდება შემოწირულობების შეგროვება, იშვიათად თანხის სახით, ძირითადად პასქებს ტოვებენ მონაწილეები, რომლებიც გადაეცემა რამდენიმე ოჯახს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს. ასევე ეწყობა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. კონკურსანტებს აფასებს სპეციალური ჟიური.

ფესტივალის მონაწილე კომპოზიციების ავტორებს გადაეცათ სიგელები, ფასიანი საჩუქრები, გამარჯვებულებს - დიპლომები და პრიზები.

წლევანდელ გამარჯვებულთა სია ასეთია: საუკეთესო დიზაინი -ნამცხვრის სახლი „ტირამისუ“, „ვასაძის პური"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა;

დიზაინერი;

დვაბზუს საბავშვო ბაღი -ფესტივალის აღმოჩენა;

საბავშვო ბაღი №3 შემოქმედებითი კომპოზიცია;

მზიანის საბავშვო ბაღი- შემოქმედებითი კომპოზიცია;

შრომა №1,2 საბავშვო ბაღი შემოქმედებითი კომპოზიცია;

რუსუდან მამულაიშვილი - ფესტივალის აღმოჩენა;

ლია გიორგაძე, თეა ჭანუყვაძე, გიული საგინაძე, ლიხაური - მხავტვრული კომპოზიცია „ერთობა“;

გალინა წიტაიშვილი - საუკეთესო მასპინძელი.

ფესტივალში კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ და თავიანთი ხელოვნება წარმოადგინეს ქალბატონებმა - ცისანა ღლონტმა, ნანი ჭანუყვაძემ და არასამთვრობო ორგანიზაციამ — ჩოხატაურის ზრდასრულთა განვითარების ცენტრი.

ლია კილაძე

ფესტივალის ორგანიზატორი

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე ღრუბელი +5+16	მზე ღრუბელი +7+18	მზე ღრუბელი +8+22	მზე ღრუბელი +8+20	მცირე წვიმა +8+13	მცირე წვიმა +6+14	მზე ღრუბელი +7+15
16 აპრილი ორშაბათი	17 აპრილი სამშაბათი	18 აპრილი ოთხშაბათი	19 აპრილი ხუთშაბათი	20 აპრილი- პარასკევი	21 აპრილი შაბათი	22 აპრილი კვირა